

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალში ღებულობს მონაწილეობას

24 ოქტომბერს, თბილისში რიყის პარკში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა, რომელიც 8 ოქტომბრამდე გაგრძელდება. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი სიხარულით უერთდება ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას და ფესტივალის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გააცნობს მოსახლეობას თავისი საქმიანობის შესახებ. ფონდის თანამშრომლები უკვე შეხვდნენ ქალაქ თელავის მოსახლეობას და მეცნიერებისა და ინოვაციების მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მომავალ დღეებში საინტერესო პროექტებითა და დისკუსიით ფონდი ქუთაისს, ბათუმს, გორს, ახალციხეს და სენაკს ეწვევა